

შეთანხმება

ქ. თბილისი

10 თებერვალი, 2016 წელი

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი სპეციალური მმართველის ნინო თურმანიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ვინაიდან, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ - სთან 2015 წლის 19 ნოემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1.1.1/10/837 ხელშეკრულებით (ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მონაკვეთზე გაზგამანაწილებელი ქსელის გადაღების სამუშაოების შესყიდვა) გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისას საჭირო გახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაო მოცულობათა პუნქტებში ასახული მოცულობების კორექტირება (ხელშეკრულება გაფორმებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის III პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაოების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა, შესრულებული სამუშაოების ღირებულების (ერთეული ფასები) ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ. ამასთან, ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებითა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ განხორციელდა დამატებითი სამუშაოები, რომლებიც თავდაპირველი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული არ იყო. აღნიშნული დამატებითი სამუშაოების ღირებულების ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ ასევე წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა), ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - შეთანხმდნენ:

1.1 ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული (ზოგიერთი) სამუშაოს ერთეული ფასები დაკორექტირდეს ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული ერთეული ფასების მიხედვით.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შემცირდეს 2 310,31 ლარით და ნაცვლად 11 629,77 ლარისა, დანართის შესაბამისად განისაზღვროს 9 319,46 ლარით.

1.3 შეთანხმებას თან ახლავს სამუშაოების კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა (დანართი N1).

საფუძველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 10 თებერვლის N10-18/6563 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 19 ნოემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1.1.1/10/837 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კოდი: 204521794
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)
ლ. აბაშიძე

მიმწოდებელი:
შპს „ყაზტრანსგაზ - თბილისი“
ს/კოდი: 205129617
სპეციალური მმართველი
ნ. თურმანიძე



